

## შეთანხმება

### საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

საქართველოს მთავრობა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში  
“მონაწილე მხარეებად” წოდებულნი,

სურთ რა ხელი შეუწყონ ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო თანამშრომლობას  
საავტომობილო მიმოსვლის სფეროში და გრანზიგს მათი ტერიტორიების გავლით,

საავტომობილო მიმოსვლასთან მიმართებაში ლიბერალიზაციის პრინციპით  
წახალისებულნი,

ურთიერთქმედების პრინციპებსა და ორმხრივ ინტერესზე დაფუძნებულნი,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### მუხლი 1 საქმიანობის სფერო

წინამდებარე შეთანხმების დებულებები გამოიყენება ორ მონაწილე მხარეს შორის  
მგზავრებისა და ტვირთის საავტომობილო გადაზიდვებისა და მათი ტერიტორიების გავლით  
გრანზიგის მიმართ.

#### მუხლი 2 ძირითადი განსაზღვრებანი

ამ შეთანხმების მიზნებისათვის:

1. ტერმინი “გადაზიდვა” ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს დაფუძნებულს ერთ-ერთ  
მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, რომელსაც აქვს უფლება განახორციელოს საერთაშორისო  
სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები. ამ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობისა და  
საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.
2. ტერმინი “საგრანსპორტო საშუალება” ნიშნავს:

ა) ტვირთის გადაზიდვისათვის განკუთვნილ, ერთ-ერთ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე  
რეგისტრირებულ საგრანსპორტო საშუალებას ან კომბინირებულ საგრანსპორტო საშუალებას,  
რომელიც აღჭურვილია და გამოიყენება მხოლოდ ტვირთის გადაზიდვისათვის.

ბ) მგზავრთა გადაყვანისათვის განკუთვნილ, ერთ-ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სამგზავრო საგრანსპორტო საშუალებას, რომელიც თავისი აგებულებითა და მოწყობილობით, გამოიყენება ცხრაზე მეტი პირის გადაყვანისათვის და მძღოლის ჩათვლით.

3. ტერმინი “ნებართვა” ნიშნავს დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევს ერთი მონაწილე მხარის საგრანსპორტო საშუალებას შევიდეს, დაგოვოს, ან იმოძრაოს გრანზმიტით მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე.
4. ტერმინი “გრანზმიტი” ნიშნავს ტვირთის გადაზიდვასა (დატვირთვის ან გადმოტვირთვის გარეშე) და მგზავრების გადაყვანას (ჩასხდომისა და გადმოსხდომის გარეშე) ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე დაფუძნებული გადაზიდვის მიერ, მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიის გავლით შესამე ქვეყანაში ან ქვეყნიდან.
5. ტერმინი “ქვოტა” ნიშნავს ნებართვების რაოდენობას, რომელიც უფლებას აძლევს მფლობელს განახორციელოს მონაწილე მხარეებს შორის ტვირთის საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვა და ასევე მათი ტერიტორიების გავლით სხვა ქვეყნებში (გრანზმიტი). ნებისმიერი გადასახადებისა და მოსაკრებლების გარეშე.

### **მგზავრთა გადაყვანა საქმიანობის სფერო და განსაზღვრებანი**

#### **მუხლი 3**

მგზავრთა გადაყვანის მიზნით, ეს შეთანხმება გამოიყენება საგრანსპორტო საშუალების (ავტობუსების) მიერ განხორციელებული ყველა სახის სამგზავრო გადაყვანისათვის, ორ მონაწილე მხარეს შორის გრანზმიტით მათი ტერიტორიების გავლით.

#### **მუხლი 4**

#### **მგზავრთა გადაყვანის მიზნით:**

1. ა. “რეგულარული მომსახურეობა” ნიშნავს რეისებს, რომელიც გათვალისწინებულია მგზავრთა გადაყვანისათვის წინასწარ განსაზღვრული სიხშირის, მაშრუტისა და გასაჩერებელი ადგილების გათვალისწინებით, სადაც შეიძლება მოხდეს მგზავრთა ჩასხდომა და გადმოსხდომა.  
რეგულარული მომსახურეობა ხორციელდება წინასწარ დადგენილი განრიგებითა და გარიფებით.
- ბ. რეგულარული მომსახურეობის განხორციელების პირობები განსაზღვრულ უნდა იქნას მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოების მიერ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.
2. “მაქოსებური მომსახურეობა” ნიშნავს რეისებს, რისი მეშვეობითაც განმეორებადი ორივე მიმართულების რეისების საშუალებებით ხდება მგზავრთა წინასწარი შედგენილი ჯგუფების გადაყვანა ერთი მონაწილე მხარის გამგზავრების ერთი ადგილიდან, მეორე მონაწილე მხარის დანიშნულების პუნქტში. თითოეული ჯგუფი, რომელიც შედგება მგზავრებისაგან, რომლებმაც განახორციელეს რეისი ერთი მიმართულებით, ბოლო რეისით დაბრუნებულ იქნებიან გამგზავრების ადგილზე.

- ა. მაქოსებური მომსახურების დროს, არ შეიძლება არც ერთი მგზავრის აყვანა ან ჩამოსმა.
- ბ. მაქოსებური მომსახურების სერიებში პირველი უკან დასაბრუნებელი და ბოლო გარე რეისი იქნება დაუტვირთავი.
- გ. მაქოსებური მომსახურება განხორციელებულ იქნება საკონგროლო დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ამტკიცებს, რომ ხდება იმავე მგზავრთა უკან წამოყვანა გამგზავრების ადგილამდე, რომლებმაც განახორციელეს გარე რეისები.

3. “არარეგულარული მომსახურება” ნიშნავს:

- ა. მგზავრობა დახურული კარით, ნიშნავს ისეთ გადაყვანას, როდესაც ერთი და იგივე შემადგენლობის მგზავრთა ჯგუფი მთელი მგზავრობის განმავლობაში გადაიყვანება ერთი და იგივე საგრანსპორტო საშუალებით და ბრუნდება იმ ქვეყანაში, სადაც ეს საგრანსპორტო საშუალება არის რეგისტრირებული.
- ბ. მომსახურება, რომლის დროსაც საგრანსპორტო საშუალება იწყებს რეისს დატვირთული და უკან ბრუნდება ცარიელი.
- გ. მომსახურება, რომლის დროსაც საგრანსპორტო საშუალება იწყებს რეისს ცარიელი და უკან ბრუნდება დატვირთული.
- დ. ყველა სხვა სახის მომსახურება, რომლებიც არ შეესაბამება გემოაღნიშნულ კრიტერიუმებს.

## მუხლი 5

- 1. მე-4 მუხლის მე-3 ა და მე-3 ბ პარაგრაფებში ნახსენები არარეგულარული მომსახურება არ საჭიროებს ნებართვას მეორე მხარის ტერიტორიაზე, სადაც საავტომობილო საშუალება არ არის რეგისტრირებული, ისინი განხორციელებული უნდა იქნან საკონგროლო დოკუმენტის მეშვეობით.
- 2. საკონგროლო დოკუმენტი უნდა შეიცავდეს, როგორც მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:
  - ა. მომსახურების სახეობა.
  - ბ. მარშრუტი.
  - გ) გადამზიდავი (გადამზიდავები).
  - დ) მგზავრთა სრული სია.
  - ე) სარეგისტრაციო ნომერი.
- 3. საკონგროლო დოკუმენტები გაცემული უნდა იქნას იმ მონაწილე მხარის კომპეტენტურ ორგანოთა მიერ, სადაც რეგისტრირებულია საგრანსპორტო საშუალება.
- 4. მე-4 მუხლის მე-3 გ და მე-3 დ პარაგრაფებში ნახსენები არარეგულარული მომსახურება შესაძლებელია მხოლოდ განხორციელებულ იქნას მეორე მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ნებართვების საფუძველზე. ამ ნებართვების რაოდენობა, ფორმა და

შინაარსი განსაზღვრულ უნდა იქნას ამ შეთანხმების 21-ე მუხლში ნახსენები ერთობლივი კომიტეტის მიერ.

## მუხლი 6

1. რეგულარული მომსახურეობა ხორციელდება მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ნებართვების მეშვეობით.
2. ნებართვები გაცემული უნდა იქნას პასუხისმგებელ გადამზიდავის სახელზე. ისინი არ შეიძლება გადაცემულ იქნას ამ უკანასკნელის მიერ მესამე მხარეთათვის.
3. რეგულარული რეისების შესახებ ნებართვები ძალაში იქნება ერთი წლის მანძილზე.
4. ნებართვებმა უნდა განსაზღვროს შემდეგი:
  - ა. მომსახურეობის სახეობა.
  - ბ. მარშრუტი, რომელიც განსაზღვრავს გამგზავრებისა და დანიშნულების ადგილებს,
  - გ. ნებართვების მოქმედების ვადები.
5. ნებართვის დანართში უნდა მოიპოვებოდეს ინფორმაცია, რომელიც ეხება გადამზიდავს, მარშრუტს (რომელიც აგრეთვე რუქაზეა ნაჩვენები), განრიგს, ტარიფებს, სიხშირესა და იმ პუნქტებს, სადაც აყვანილ და ჩამომსხდარ არიან მგზავრები ისევე, როგორც ინფორმაციას შემოაღნიშნული გადამზიდავის ავტობუსების შესახებ.
6. ერთი მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანო გაუგზავნის სარეკომენდაციო წერილს მეორე მონაწილე მხარის კომპეტენტურ ორგანოს. შემოაღნიშნული წერილი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც ეხება გადამზიდავს, მარშრუტს (რომელიც აგრეთვე რუქაზეა ნაჩვენები), განრიგს, ტარიფებს, სიხშირესა და იმ პუნქტებს, სადა აყვანილ და ჩამომსხდარ არიან მგზავრები ისევე როგორც ინფორმაციას შემოაღნიშნული გადამზიდავის ავტობუსების შესახებ. წინააღმდეგობის არ წამოჭრის შემთხვევაში, თითოეული კომპეტენტური ორგანო გასცემს ნებართვას მარშრუტის იმ მონაკვეთისათვის, რომელიც გადის მის ტერიტორიაზე.
7. ნებართვები და დანართები ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული უნდა იქნას მათი გამცემი კომპეტენტური ორგანოს მიერ.
8. ნებართვების გაცვლის პირობები განსაზღვრულ უნდა იქნას მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოების მიერ.
9. მგზავრობის განმავლობაში ნებართვის დამოწმებული ასლი ან მისი ორიგინალი უნდა იმყოფებოდეს საგრანსპორტო საშუალებაში.
10. დაზიანებული ავტობუსის სხვა ავტობუსით შეცვლა ნებართვას არ საჭიროებს.

## მუხლი 7

1. რეგულარული საგრანზიტო გადაზიდვისათვის, რომლებიც ხორციელდება ერთ-ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიის გავლით, მეორე მონაწილე მხარის მხარეში

რეგისტრირებული საგრანსპორტო საშუალების მიერ, საჭიროა სპეციალური ნებართვა, ნებართვა გაცემულ უნდა იქნას იმ მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება რეგულარული ტრანზიტული მომსახურეობა, მეორე მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოს ყოველწლიური წერილობითი თხოვნის საფუძველზე.

2. არარეგულარული საგრანსპორტო გადაზიდვები, რომელიც ხორციელდება ერთ-ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიის გავლით, მეორე მონაწილე მხარეში რეგისტრირებული საავტომობილო საშუალების მიერ, არ საჭიროებს ნებართვას.

## **მუხლი 8**

რეგულარული მომსახურეობის დაწყება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ორივე მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოები გაცვლიან შესაბამის ნებართვებს, ყველა საჭირო დანართებთან ერთად.

## **მუხლი 9**

სხვადასხვა სახის მგზავრთა გადასაყვან მომსახურეობებს შორის მხოლოდ რეგულარული მომსახურეობა იქნება განთავისუფლებული ნებისმიერი გადასახადების და ანაკრებებისგან.

## **II. გვირთის გადაზიდვა**

### **მუხლი 10**

1. ერთი-ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე დაფუძნებულ გადაზიდვას აქვს უფლება განახორციელოს გვირთის საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები ორ მონაწილე მხარეს შორის ისევე, როგორც მათი ტერიტორიების გავლით სხვა ქვეყნებში (საგრანსპორტო გადაზიდვა), მეორე მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.
2. მე-10 მუხლის 1-ელ პარაგრაფში გათვალისწინებული გვირთის საგრანსპორტო გადაზიდვის რაოდენობა არ იზღუდება.
3. ყოველწლიურად, მონაწილე მხარეთა კომპეტენტური ორგანოები პირდაპირ ან ერთობლივი კომიტეტის მეშვეობით განსაზღვრავენ ნებართვების რაოდენობას, რომელიც ნებას რთავს მონაწილე მხარეთა შორის, ისევე როგორც მათი ტერიტორიების გავლით მესამე ქვეყნებში (საგრანსპორტო გადაზიდვა), გვირთის საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვებს, ნებისმიერი გადასახადებისა და ანაკრებების გარეშე.

### **მუხლი 11**

მონაწილე მხარეთა კომპეტენტური ორგანოები ან 21-ე მუხლში ნახსენები ერთობლივი კომიტეტი შეთანხმდებიან ნებართვების ფორმასა და მათი გაცვლის პროცედურაზე.

### **მუხლი 12**

ამ შეთანხმების მე-10 მუხლის 1-ელ პარაგრაფის საფუძველზე ორივე მხარის კომპეტენტური ორგანოები ყოველწლიურად გაცვლიან ნებართვების განსაზღვრულ რაოდენობას.

ამ შეთანხმების განხორციელების პირველი პერიოდის განმავლობაში, სახელდობრ 21-ე მუხლში მოხსენიებული ერთობლივი კომიტეტის პირველ შეხვედრამდე, ორივე მონაწილე მხარე თანახმაა შეასრულოს ორმხრივი და საგრანზიგო ტვირთის საავტომობილო გადაზიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რაც შეტყობინებული იქნება დიპლომატიური არხების მეშვეობით მათი კომპეტენტური ორგანოებისათვის.

### მუხლი 13

ამ შეთანხმების მე-10 მუხლის დებულებების მიუხედავად, ნებართვები არ არის სავალდებულო შემდეგ შემთხვევაში:

1. ტვირთის გადაზიდვისას სამოქალაქო აეროპორტიდან ან სამოქალაქო აეროპორტში თვითმფრინავის ავარიის ან ნებისმიერი სხვა უბედური შემთხვევის დროს, ან თუ თვითმფრინავი უნდა დაეშვას კურსის ცვლილების ან საგანგებო მდგომარეობის გამო და რეისების გაუქმების შემთხვევაში;
2. დაზიანებული საგრანსპორტო საშუალებისა და მისი მისაბმელის გადაზიდვისას;
3. მიცვალებულის გადაყვანისას;
4. ფოსტის გადაზიდვისას;
5. ბაზრობებისა და გამოფენებისათვის განკუთვნილი ტვირთის გადაზიდვისას;
6. თეატრის, მუსიკალური და სხვა კულტურული ღონისძიებების, ცირკის, ფილმების ჩვენების, რადიო ან სატელევიზიო გადაცემებისათვის განკუთვნილი დეკორაციებისა და სხვა ტვირთის გადაზიდვისას;
7. სტიქიური მოვლენებით გამოწვეული უბედურებების შემთხვევაში, დახმარების სახით ფარმაცევტული ან სხვა ნებისმიერი ნივთიერებების გადაზიდვისას;
8. ცარიელი საგრანსპორტო საშუალებების გადაყვანა დაზიანებული საგრანსპორტო საშუალების შესაცვლელად, რათა მათ განახორციელონ ტვირთის გადაზიდვა, დაზიანებული საგრანსპორტო საშუალების მაგივრად;
9. სპეციალური საგრანსპორტო საშუალებების გაგზავნა გექნიკური დახმარების გასაწევად ან დაზიანებული საგრანსპორტო საშუალებების შესაკეთებლად;
10. საგრანსპორტო საშუალების გადაყვანა, რომელიც განკუთვნილია მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მყოფი სხვა დაზიანებული საგრანსპორტო საშუალებების შესაცვლელად.

ამ მუხლში მოხსენიებული საგრანსპორტო გადაზიდვების გათვალისწინებით, მძღოლს უნდა ჰქონდეს ყველა ლოკუმენტი, რომელიც ნათლად მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული გადაზიდვის სახეებიდან ერთ-ერთი წარმოადგენს შემთხვევას.

### **III. ზოგადი დებულებები**

#### **მუხლი 14**

#### **გადასახადი და ანაკრებები**

1. მონაწილე მხარის გადამზიდვები, რომლებიც ახორციელებენ რეისებს ამ შეთანხმების შესაბამისად განთავისუფლებული არიან გადასახადებისაგან;
  - ძრავასთან კონსტრუქციითა და ტექნოლოგიურად დაკავშირებული ყველა სახის საგრანსპორტო საშუალებების სტანდარტული მომის ავზში მყოფ საწვავზე;
  - რეისების განმავლობაში საგრანსპორტო საშუალებების მართვისათვის საკმარის საპოხი საშუალებების რაოდენობაზე;
  - საერთაშორისო რეისების განმახორციელებელი დამზიდველი საგრანსპორტო საშუალებების შესაკეთებლად შემოგანილ სათადარიგო ნაწილებზე;
  - გამოუყენებელი სათანადო ნაწილები ექვემდებარებიან უკან გაგანას, ხოლო შეცვლილი ნაწილები გაგანილ ან ჩაბარებული უნდა იქნას ორგანოსათვის, მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მოქმედი წესების შესაბამისად.
2. მონაწილე მხარეები იღებენ ვალდებულებას არ მიიღონ ზომები, რომლებიც უარეს პირობებში ჩააყენებს მეორე მონაწილე მხარის გადამზიდვს, იმ საგზაო ინფრასტრუქტურის გამოყენებისათვის. საჭირო გადასახადებსა და ანაკრებებთან დაკავშირებით, სადაც აუცილებელია გადახდა.

#### **მუხლი 15**

#### **საგრანსპორტო საშუალებების გაბარიტები და წონა**

1. რაც შეეხება საგრანსპორტო საშუალებების გაბარიტებსა და წონას, მონაწილე მხარეები იღებენ ვალდებულებას არ დაუწესონ მეორე მონაწილე მხარის საგრანსპორტო საშუალებებს პირობები, რომლებიც იმაზე უფრო ნაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე ისინი, რომლებიც დაწესებულია თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საგრანსპორტო საშუალებების მიმართ.
2. სპეციალური ნებართვა საჭირო იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც საგრანსპორტო საშუალების მთლიანი წონა, დაგვირთული ან დაუგვირთავი, აღემატება დადგენილ ზღვარს და რომელიც გაცემულ იქნება ამ მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ.
3. ორ მონაწილე მხარეს შორის, ან გრანზიტით მათი ტერიტორიის გავლით სახიფათო გვირთის გადაზიდვა, საწვავის ჩათვლით, თუ ეს უკანასკნელი მიეკუთვნება სახიფათო გვირთის კატეგორიას, უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნებებს, მძღოლსა და საგრანსპორტო საშუალებას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ნებართვა.

#### **მუხლი 16**

#### **დაზღვევა**

მონაწილე მხარის საგრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო გადაზიდვებს უნდა ჰქონდეთ საღებავი დოკუმენტი, რომელიც ძალაშია საგრანსპორტო ქვეყნებში, ისევე როგორც დანიშნულების ქვეყანაში.

## **მუხლი 17** **კაბოგაჟი**

კაბოგაჟი მგზავრთა გადაყვანისას და გვირთის გადაზიდვისას აკრძალულია.

## **მუხლი 18** **კონტროლი**

ყველა საჭირო დოკუმენტი, ისეთი როგორცაა ნებართვის ორიგინალი, კომპეტენტური ორგანოს მიერ დამოწმებული მისი ასლი, საკონტროლო დოკუმენტი, სხვა ნებართვები, ისევე როგორც მრავალმხრივ ან ორმხრივი შეთანხმებების ან მონაწილე მხარეების კანონმდებლობის თანახმად მოთხოვნილი დოკუმენტი, უნდა ინახებოდეს საგრანსპორტო საშუალებებში და წარდგენილ უნდა იქნას ოფიციალური შემოწმებულ პირთა მოთხოვნისამებრ.

## **მუხლი 19** **გადამზიდავის ვალდებულებები და ჯარიმა**

მონაწილე მხარის გადამზიდავი და მათი საგრანსპორტო საშუალებების მძღოლები ვალდებული არიან მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე დაემორჩილონ მიღებულ საერთაშორისო კონვენციებსა და ორმხრივ ან მრავალმხრივ შეთანხმებებს ისევე, როგორც ამ შეთანხმებასა და შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც ძირითადად ეხება საავტომობილო მიმოსვლის წესებს, საბაჟო პროცედურებს და ა.შ.

ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, მეორე მონაწილე მხარის გადამზიდავის მიერ ამ შეთანხმების დებულებების დარღვევის შემთხვევაში, იმ მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა დარღვევა, შეაგყობინებენ დარღვევისა და ჯარიმის შესახებ მეორე მონაწილე მხარის კომპეტენტურ ორგანოებს და ამ უკანასკნელმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები.

საკითხები, რომელსაც არ მოიცავს წინამდებარე შეთანხმება და აგრეთვე არც საერთაშორისო შეთანხმებები, რომლის მონაწილეც არის ორივე მხარე, გადაწყვეტილ უნდა იქნას თითოეული მონაწილე მხარის კანონმდებლობის შესაბამისად.

## **მუხლი 20** **ინფორმაციით ორმხრივი უზრუნველყოფა**

1. მონაწილე მხარეების კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი ზომები ამ შეთანხმების განხორციელებისათვის და აიღონ ვალდებულება შემდგომში გადასცენ მეორე მონაწილე მხარეს ყველა საჭირო ინფორმაცია.
2. ნებართვის გამცემ ორგანოს შეუძლია გააუქმოს ნებართვა, საჭირო რეგულარული საავტომობილო მომსახურებისათვის, თუ მისი მფლობელი არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს, რომლის საფუძველზეც გაცემულ იქნა ნებართვა; უფრო მეტის, მან უნდა შეაგყობინოს ამის შესახებ მეორე მონაწილე მხარის ორგანოს.



## IV. ძირითადი დებულებები

### მუხლი 21

- ერთობლივი კომიტეტი შეიქმნება მონაწილე მხარეების კომპეტენტურ ორგანოთა წარმომადგენლებისაგან. ამ კომიტეტის მიზანია მოაგვაროს მგზავრებისა და გვირთის საავტომობილო გადაზიდვასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ისევე როგორც იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას წინამდებარე შეთანხმების განხორციელებისას.
- წელიწადში ერთხელ ან ერთ-ერთი მონაწილე მხარის მოთხოვნისამებრ, ერთობლივმა კომიტეტმა უნდა გამართოს შეხვედრები მონაცვლეობით, თითოეულ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, შეხვედრის დღის წესრიგი წარმოდგენილ უნდა იქნას შეხვედრამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე მასპინძელი ან საჭიროების შემთხვევაში მომთხოვნი მხარის მიერ. თითოეული შეხვედრა დასრულებულ უნდა იქნას ოქმის მიღებით, რომელიც ხელმოწერილი იქნება მონაწილე მხარეების დელეგაციის ხელმძღვანელების მიერ.

### მუხლი 22

მონაწილე მხარეები შეაგყობინებენ ერთმანეთს, რომ კომპეტენტური ორგანოები, რომლებიც მოაგვარებენ ამ შეთანხმების დებულებების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს იქნებიან:

- საქართველოს მხრიდან, გრანსპორტის სამინისტრო;
- საბერძნეთის რესპუბლიკის მხრიდან, გრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო.

### მუხლი 23

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შევა მონაწილე მხარეების მიერ შესაბამისი კონსტიტუციური მოთხოვნების შესრულების დამადასტურებელი წერილების გაცვლის დღიდან. ის ძალაში იქნება ერთი წლის განმავლობაში. მისი მოქმედება შესაბამისად გაგრძელებულ იქნება შემდგომი ერთი წლის პერიოდით მანამ, ვიდრე ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე, ერთ-ერთი მონაწილე მხარე არ შეაგყობინებს მეორეს, მის გადაწყვეტილებას შეთანხმების გაუქმების თაობაზე.

შესრულებულია ქ. თბილისში 1997 წლის 10 აპრილს, ორ ორიგინალურ პირად, ქართულ, ბერძნულ და ინგლისურ ენებზე, თითოეული ტექსტი თანაბარ ავთენტურია. განმარტების დროს დავების წამოჭრის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

დასტურად ამისა, ქვემოთ ხელის მომწერნი სათანადო უფლებამოსილნი აწერენ ხელს ამ შეთანხმებას

საქართველოს მთავრობის  
სახელით

საბერძნეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით